თანამშრომელთა ჩართულობა, მისი უზრუნველყოფის გზები და კავშირი ორგანიზაციულ ეფექტიანობასთან

თეა სიმონიშვილი

სალომე გაბაშვილი

მარიამი ქარაული

ჯგუფი #10

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ბერუაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ადამიანური რესურების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც გზები და პრაქტიკები, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას ორგანიზციებში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. გარშემო ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან სამსახურით. წუწუნებენ იმის გამო, რომ მათი ანაზღაურება, სამუშაო დატვირთვა და სამუშაო პირობები ნაკლებად არის შესაბამისობაში ერთმანეთთან. თანამშრომელთა ჩართულობის პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიებისათვის, რადგანაც მოგების ზრდა შესაძლებელია ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა მიდგომის დანერგვისა და ეფექტიანობის ამაღლების შედეგად. ბევრი ორგანიზაცია ორიენტაციას აკეთებს მხოლოდ დღევანდელ დღეზე და და არ აბანდებს ფულს საკუთარ თანამშრომლებში, რაც მისი განვითარებისა და წარმატების გარანტია ბაზარზე. იმისათვის, რომ კომპანიამ გაიმყაროს პოზიცია ბაზარზე, ყავდეს ლოალური მომხმარებლები და მიაღწიოს მოგების მაღალ მაჩვენებელს, მნიშვნელოვანია უზრუნველყოს თანამშრომელთა ჩართულობის პროგრამები ორგანიზაციაში.

ვფიქრობთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს ორგანიზაციაში თანამშრომელთა ჩართულობის და მისი უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლის აქტუალობას.

თემის აქტუალობა: თანამშრომელთა ჩართულობა ნიშნავს, რომ თითოეული თანამშრომელი განიხილება, როგორც უნიკალური ადამიანი. ყოველი მათგანი ჩართულია ყოველდღიური ბიზნესის საქმიანობაში. უფრო ზუსტად, კი ჩართულობა ეს არის თანამშრომელთა ემოციური დამოკიდებულება ორგანიზაციისა და მისი მიზნების მიმართ.

ნაშრომის მიზანი: ჩვენი პროექტის მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა ჩართულობას კომპანიებისათვის. რა ფაქტორები განაპირობებს თანამშრომელთა ჩართულობას ორგანიზაციებში, ზოგადად, იკვლევენ თუ არა ორგანიზაციები თანამშრომელთა ჩართულობას. გავარკვიოთ თუ, როგორ გარემოში მუშაობენ ადამიანები. კვლევის ძირითადი ამოცანა იქნება: პერსონალის დამოკიდებულების იდენტიფიკაცია სამუშაო პირობებისადმი და ასევე სამუშაო გარემოს შეფასება. ხშირად შევხვდებით საზოგადოებაში ადამიანებს, ვისთვისაც სამსახური მონოტონურ შრომად არის ქცეული და ერთი სული აქვთ როდის დასრულდება სამუშაო დღე. სწორედ ამიტომ, ჩვენს მთავარ მიზნად ამ პრობლემის წამოჭრა და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება მიგვაჩნია. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რამდენად მუშაობს ორგანიზაციებში ჩართულობის პროგრამები, რამდენად არიან ჩართულები ადამიანები სამუშაო პროცესში და თანამშრომელთა ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომპანიის წარმატებაში.

არსებული მიზნიდან გამომდინარე დაისახა კვლევის შემდეგი **ამოცანები:**

1. შეგვესწავლა თუ რას გულისხმობს ტერმინი „თანამშრომელთა ჩართულობა“.

2. რა გზებით ცდილობენ საქართველოში კომპანიები უზრუნველყონ თანამშრომელთა ჩართულობა.

3. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება მოყვეს ჩართულობის პროგრამების გატარებას.

4. დავადგინოთ, კავშირი კომპანიის წარმატებასა და თანამშრომელთა ჩართულობას შორის.

კვლევის ობიექტი: საკვლევ ობიექტებს წარმოადგენს საქართველოში მოღვაწე ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სავაჭრო მაღაზიები. ხოლო, **კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს,** ლიტერატურული და გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და კვლევის შედეგები.